საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თინა ვამაყმაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

თინა ვაშაყმაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თინა ვაშაყმაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - თინა ვაშაყმაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, კერძოდ **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** შეფასებისას მიმაჩნია რომ, თინა ვაშაყმაძე არის წესიერი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, მოწესრიგებული და პროფესიონალი. მას ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ადამიანს. კანდიდატი არის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კეთილსინდისიერი პიროვნება და სათანადოდ აქვს შეგნებული მისი პირადი, პროფესიული და ფინანსური მოვალეობები. გამორჩეული უნდა იქნეს კანდიდატის ისეთი თვისებები როგორიცაა, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, კორექტულობა, სიზუსტე სამსახურეობრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას. **დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის მახასიათებლით** შეფასებისას აღსანიშნავია კანდიდატის პრინციპულობა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, მედეგობა. კანდიდატი არის მიუკერძოებელი როგორც პოლიტიკური ასევე, სხვა ნიშნით. მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციის მიხედვით, თინა ვაშაყმაძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, წევრი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით** შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი იმიჯი და ქცევა, თავდაჭერილობა. თინა ვაშაყმაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძე იყო მოპასუხე ერთ სამოქალაქო საქმეში (N2/29310-18, დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი).

			რაც შეეხება დაზარალებულად კანდიდატის ცნობას, კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით** მახასიათებლით შეფასებისას აღსანიშნავია ისეთი თვისებები როგორიცაა მისი მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. რაც შეეხება **ფინანსური მახასიათებლით** კანდიდატის შემოწმებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს არ ერიცხება სახელმწიფო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ თინა ვაშაყმაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი-თინა ვაშაყმაძე კარგად ფლობს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმებს, აღსანიშნავის კანდიდატის მიერ ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის სათანადო დონე და მათი სწორი მისადაგება. კანდიდატი ძირითადად სწორად აცნობიერებს სამართლებრივი ნორმების შინაარსს და

			იყენებს მათ დანიშნულებისამებრ. თინა ვაშაყმაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. გასაუბრებისას კანდიდატის პასუხებში დაფიქსირდა სამართლებრივი შეცდომები. ასევე გამოვლინდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ცოდნის მიმართულებით რიგი ხარვეზები.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლით** შეფასებისას მის პირად საქმეში მის მიერ განხილული საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და დამაჯერებლობის, ასევე მისი ანალიტიკური აზროვნების უნარისა და პროფესიული გამოცდილების შეფასების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. თუმცა მსჯელობა ზოგიერთ სამართლებრივ საკითხებზე არის ზედმეტად ლაკონური.
წერის უნარი	18	20	**წერის უნარის მახასიათებლით** შეფასებისას შესწავლილი გადაწყვეტილებების მიხედვით, კანდიდატი წერილობით მოსაზრებებს აყალიბებს გამართულად, იურიდიულ ტერმინოლოგიას იყენებს ადექვატურად. კანდიდატის მიერ ლოგიკური მსჯელობა ძირითადად გამართული და თანმიმდევრულია. თუმცა ხარვეზები არის წინადადების წყობის სირთულეში და ტექნიკურ, გრამატიკულ შეცდომებში.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი თინა ვაშაყმაძე მეტყველებს გამართულად, აქვს სამართლის ნორმათა შინაარსის სათანადოდ გადმოცემის უნარი, ძირითადად საუბრობს გაწონასწორებულად და გარკვევით, ასევე მოთმინებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს, უნდა აღინიშნოს რომ დისკრიმინაციული ან/და არაეთიკური მიმართვის ფაქტები არ გამოვლენილა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მცირეოდენი სირთულე სამართლებრივი საკითხის გადმოცემის პროცესში მაინც დაფიქსირდა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ თინა ვაშაყმაძე, როგორც მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესებს წარმართავს მშვიდად და გაწონასწორებულად, მხარეებს მიმართავს თავაზიანად და ამჟღავნებს სათანადო პატივისცემას მათ მიმართ, გულმოდგინედ განუმარტავს მხარეებს მათ საპროცესო უფლებებს და ასევე მიუთითებს პასუხისმგებლობაზე, მაქსიმალურად განუხრელად იცავს მხარეთა მიერ საკუთარი მოსაზრებათა გამოთქმისა და მათ მიერ პოზიციების დაცვის თანაბრობის პრინციპს. ზედმიწევნით იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მის მიერ განხილული საქმეები არის მომზადებული ჯეროვნად და მოწესრიგებულად, რაც შეეხება მის მიერ საპროცესო ვადების დაცვას: ვადის დაცვით არის - 93,1%; ვადის დარღვევით 6,9%. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 88,5%; შეცვლილი 11,5%. საანგარიშო პერიოდში (975 დღე) მოსამართლეს

			დასრულებული აქვს 660 საქმე, დღეში საშუალოდ 0,7 საქმემდე. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია მცირე სამოსამართლო გამოცდილება.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ღიაობა სიახლეების მიმართ რაც გამოვლინდა კიდეც გასაუბრების დროს, თვითგანვითარებისა და საკუთარ თავზე მუშაობის უნარი. თინა ვაშაყმაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში: - ლიდერობა მოსამართლეებისათვის - სემინარი, რენო, ნევადა, აშშ. - იურიდიული ენის ტრენინგი - ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში - სამოსამართლო სკოლა - Judicial School of Spain - ტრენინგი, ბარსელონა, ესპანეთი. - მომხმარებელთა უფლებების დაცვა ფინანსური მომსახურების სფეროში - სემინარი. - საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების აღსრულების საკითხები - სემინარი. - საარბიტრაჟო წარმოება - სემინარი. - სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი - სემინარი. - კონდიქციური სამართლის პრობლემატური საკითხები - სემინარი. - სტრესის მართვა - სემინარი. - სასამართლო სხდომების მართვა და კომუნიკაცია - სემინარი. - საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და კოვიდ 19 - სემინარი. - შრომით სამართლებრივი ურთიერთობები და

			სასამართლო პრაქტიკა კოვიდ 19-ის პერიოდში - სემინარი. - ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში - სემინარი. - ბავშვის უფლებათა კოდექსი - სემინარი.
პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი პრობლემებისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ორგანიზებულ შეხვედრებსა და სემინარებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის საერთოდ არ ახორციელებს პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას.
ქულათა ჯამი	**87**	**100**	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21